ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6760619

ნომერი: AR1996708

თარიღი : 23.10.2023

გაცემის თარიღი : 15.11.2023

გაცნობის თარიღი : 15.11.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N 34ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბერულავა პ/ნ 01008015861
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75 კორ. 3 ბ. 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6700971 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 23 ოქტომბერს №AR1996708 განცხადებით მომართა დავით ბერულავამ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 9

ოქტომბრის №6700971 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6700971 ბრძანებით, №01.18.09.004.106 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 9 ოქტომბრიდან 2024 წლის 9 ივლისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6700971 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად 1268.4 კვ.მ-ის ნაცვლად 1264.2 კვ.მ-ის, ხოლო ავტოსადგომის ფართობად 1089.6 კვ.მ-ის ნაცვლად 1121.0 კვ.მ-ის და საერთო ფართობად 9118.1 კვ.მ-ის ნაცვლად 9145.3 კვ.მ-ის (2023 წლის 14 ნოემბრის შეტყობინების გათვალისწინებით) დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული გეგმები არ იცვლება უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6700971 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6700971 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 1264.2 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 1121.0 კვ.მ-ის, საერთო ფართობად - 9145.3 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6700971 ბრძანებით შეთანხმებული -3.00, +0.00 (მე-3 გვერდი), +23.4, +26.70, +30.00, +33.30 და +36.75 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6700971 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6700971 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.